

13  
1961

# სამხედრო

გამოცემის XXXIX წელი, ზანი 20 კპვ

ნან. კ. ლომიძის  
გრაფიკული  
სტილი



ამერიკის მონოპოლიები და მათი ინგლისელი და ფრანგი მოკავშირეები აშკარად ეხმარებიან დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინებას, რომელიც ცინიკურად ქადაგებს რევანსისტულ, დამპყრობლურ მიზნებს, ამზადებს ომს სოციალისტური სახელმწიფოებისა და ევროპის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. ევროპის ცენტრში იქმნება აგრესიის საშიში კერა, რომელიც საფრთხეს უქმნის ყველა ხალხის მშვიდობასა და უშიშროებას.  
(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან).

უბუნური „გავშვის“ საზიზი თამაზი და მისი წამყვანები.

ნ. კ. ლომიძის





მლიქვნელი მოწოდების სიმაღლეზე.

მართლაც რომ ახალდაბაა ოჩამჩირის რაიონის სოფელი ახალდაბა. ამ ერთ დროს უწიგნურსა და მიყრუებულ, სოფელს, რომლის მცხოვრებლებსაც ბაყაყების გაბმული ყიყინი უწყალებდა გულს, ახლა სავსებით ეცვალა სახე.

სოფელს გააჩნია მაღაზია, საექიმო პუნქტი, საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა და ილიჩის ნათურებითაა გაჩახახახებული.

მაგრამ მზესაც აქვს ლაქები და რას იზამთ, ამ სოფელსაც გააჩნია თავისი ჩრდილოვანი მხარეები.

იქ წყალიც საკმაო იყო ერთ დროს, მიღებში მუქთად მოჩუხჩუხებდა ანკარა და საამური წყაროს წყალი და, ცხადია, ბუნების ამ სანუკვარი სიბნის ნაკლებობას არავენ უჩიოდა.

მაგრამ გაიცვითა და გაოხრდა მიღები, გაიპარა წყალი გზადაგზა და დარჩა სოფელი რამდენიმე ჭის ანაბარა, საიდანაც დიდიდან საღამომდე ქვაგამომბმული ოწინარებით ექაჩებიან ატალახებულ წყალს და დგას უშველებელი რიგები და ვაი-უშველებელი.

როგორც ვთქვით, არის სოფელში ბიბლიოთეკა, მაგრამ იგი ერთ პაწაწინტელა ოთახშია გამოკეტილი საცოდავად.

ბიბლიოთეკის გამგე უენია ცირდავა ბუნებით სტუმართმოყვარე რომ არის, ამას ის ფაქტი დიახაც დაადასტურებს, რომ მას ჯერ არარსებული კლუბის არსებული გამგე გენატრე შანავა შეუხიზნებია.

გენატრე კლუბის გამგეა და გენატრე კლუბის გამგის ხელფასს ღებულობს. ე. ი გენატრეს აქვს თანამდებობაც და ხელფასიც, მაგრამ გენატრეს სამოღვაწო ასპარეზი ენატრება, დღე და ღამე კლუბი ესიზმრება, გზა-გზა მიმავალს კლუბის ლანდი უკრთის თვალეში, მაგრამ, სანატრელი კლუბის გამგევე, რამდენიც გინდა ინატრე, სადღა კლუბი? ასეა საქმე, ჩემო გენატრე, და უნდა ითმინო და იცადო, სხვა რაღა დაგრჩენია.

კლუბი არა გაქვს, ჩემო გენატრე, მაგრამ, ყოჩად, ქალო, ფილმების ჩვენებას მაინც რომ ახერხებ, ერთ ფილმად თქვენებურად ფილმის ჩვენებაც კი შეიძლებოდა გადაღებულიყო და, დარწმუნებული ვარ, არცთუ ისე ურიგო ფილმი გამოვიდოდა, მაგრამ სადაა სცენარისტი და სადაა რეჟისორი! აფსუს, რა თემა იკარგება!

ფილმებს ღია ცის ქვეშ უჩვენებენ და, გეგმა რომ შეასრულონ, რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ფილმს ზედისედ უშვებენ.

ვთქვათ, გინდათ ახალდაბაში ნახოთ რომელიმე სურათი, უნდა შეიძინოთ ბილეთი და გახვიდეთ მინდვრის იმ ადგილზე, სადაც ფილმის ჩვენებაა გადაწყვეტილი. თუ წინდასხედული კაცი ხარ, სახლიდან სკამს წამოიღებ და, სადაც მოგესურვება, იქ მოიკალათებ, არადა, ან რაიმე ჯირკოს მონახავ, ან სიბ ქვას დაიდებ სკამის მაგივრად, ან თათრულად მორთხამ მიწაზე, ან მოლზე მხართოდოზე წამოწვები და ისე უყურებ სურათს.



დაჯდომის ყველა სახეობას აქვს თავისი უპირატესობა. ასე, მაგალითად, თუ სკამი წამოიღე და ფილმის ჩვენების დროს გაწვიმა, სკამი ქოლგად გამოგადგება და მშრალი მიუხვალ ცოლ-შვილს თუ ქმარ-შვილს თავზე სკამგადახურული.

თუ მხართოდოზე წამოწოლილი უყურებ სურათს და სურათი არ მოგეწონა, შეგიძლია ხვრინვა ამოუშვა, ვიდრე სხვა საინტერესო ფილმის ჩვენებას დაიწყებენ, ან ვინმე წიხლს ჩაგარტყამს და სამსართულიანი ლოცვა-კურთხევით გაგიმასპინძლდება.

ზოგიერთი ხვრინვას რომ ამოუშვებს, ეს იმიტაცაა კარგი, რომ რომელიმე უდიდამო ფილმის ჩვენების დროს ხვრინვის ანსამბლი მაინც გართობს კინომაყურებლებს.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ ჯერ იყო და გიორგი კამკია იყო, ახლა გიორგი კამკია შამილ კამკიამ შესცვალა. ჰოდა, როგორც თავმჯდომარეთა გვარი დარჩა უცვლელი, ისევე სოფლის ზემოთ აღწერილი მდგომარეობაც უცვლელი დარჩა.

სოფლის კეთილმოწყობაზე ზრუნვა, როგორც ამბობენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ერასტი ცირდავასაც აკისრია.

ჰოდა, თუ იზრუნეს, ახალდაბასაც გაუჩნდება კლუბი თავისი სკამებით და შენც სადმე დაგიდგამენ სკამსა და მაგიდას, ჩემო გენატრე!





ნახ. თ. ქოქიაშვილისა

საბჭოთა საქართველო  
ბიზლირთეხა



— გიგას ნაკვეთზე ისეთი სიმინდია, თვითონ არ ჩანს და მაინც გამოჩენილი კაცი გახდა. ჩემთან სიმინდი არ ჩანს, მე ვჩანვარ, მაგრამ არსად მაქვს გამოსაჩენი პირი.

# ქ ა ლ ა ქ ე მ ა გ ა ა ს ნ რ ო ა ვ ზ ო მ ა ნ ქ ა ნ ა ს

გაიზარდა ჩვენი ქალაქი. ისე გაიზარდა, რომ ერთი დღის განმავლობაში ველარც კი შემოვიღი დასაწყისიდან დასასრულამდე. სადღაც ნავთლულს იქით რომ დაჯდე ავტობუსზე, ავჭალამდე, ან აგურის ქარხანამდე უკვე საათები უნდა. ამ რამდენიმე საათში მანქანის სარკმლიდან თუ დაინახავ ქუჩებს, ახალ გზებს, ახალმშენებლობებს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ზოგიერთ ავტობუსში სარკმელთან ვერ მიხვალ, მგზავრებით გადატვირთულ ტრანსპორტს ამ სიამოვნების მონიჭება არ შეუძლია. და ყველგან, გაჩერებაზე თუ მანქანაში, გზაჯვარედინზე თუ ლარივით სწორ პროსპექტზე, მოქალაქე საათს დაჰყურებს, ნერვიულობს, რადგან სადღაც მიეჩქარება.

ეს ნერვიულობა განსაკუთრებით დილის საათებში და სამუშაო დღის ბოლოს იგრძნობა, როცა კაცი სამსახურში, ან სამსახურიდან შინ მიიჩქარის. ერთი შეხედვით იფიქრებს ადამიანი, რომ ქალაქში ტრანსპორტის ნაკლებობაა, ასის მაგიერ სადღაც სამოცი მანქანა მუშაობს, რეისების სიმცირეა, ტროლეიბუსი და ავტობუსი არ გვყოფნის.

დიახ, ასე იფიქრებს ზოგიერთი მოქალაქე და სადღაც, ალბათ, სწორია მისი ეჭვი, რაღაც უშლის ხელს ჩვენი ტრანსპორტის მუშაობას, თორემ, ზოგიერთი მარშრუტის მანქანები ასე გამოტენილი არ ივლიდნენ.

მოდით ზოგიერთი მიზეზის გასარკვევად ვესტუმროთ ქალაქის რომელიმე რაიონს, თუნდაც საბურთალოს. ქალაქის ავტოტრანსპორტის სამმართველოს გასაგონად, თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ საბურთალო უკვე ბურთის სათამაშო მინდორს აღარ ნიშნავს და აქ უკვე ახალი ქალაქია, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აშენებული, პავლოვის ქუჩითა და ვაჟა-ფშაველას პროსპექტით, რომლის დასაწყისს უკვე იცნობს ეს პატივცემული ორგანიზაცია და დასასრულისაკენ დაუსრულებლად მიდის.

ჩვენი ცხოვრება ისე სწრაფად ვითარდება, რომ ზოგჯერ შეიძლება „ტუ-104“-საც გაუსწროს. ასე მოხდა აქაც. ქალაქის ამ რაიონმა ფეხი აიდგა და დასავლეთისაკენ მიჰქრის. როგორც ზღაპარში თქმულა, აივლი დილას ვაჟას პროსპექტს და საღამოს უკან დაბრუნებას ვერ მოასწრებ, რომ ახალი კორპუსები წაგართმევს თვალს, ქალაქის ცენტრისაკენ აღარ გამოგიშვებს. სულ რაღაც რამდენიმე თვის განმავლობაში მთელი კვარტალით გაიზარდა აქაურობა და მერე როგორი კვარტალით, მისი ყოველი კორპუსი მთას მიეტოლება. გამოძკიდება ზრდის ამ ტემპს ტროლეიბუსი, ურბენია, ურბენია და, რაკი ვერ დასწევია, პავლოვის ქუჩის დასასრულიდან უკან გამობრუნებულა. ავტობუსს კი შედარებით მეტი ვაჟაკაცობა გამოუჩენია, მეორე კვარტალის ბოლომდე მიუღწევია და იქ საშვილიშვილოდ დაუკრავს ბარი. ახლა მესამე კვარტალის მცხოვრებმა წვიმიან ამინდში ატალახებული მინდორი ფეხით უნდა გადათელოს, რომ შინ „მშვიდობით“ მივიდეს. ავტობუსი კი მესამე კვარტალისაკენ მიხედვასაც არ კადრულობს.

დიახ, კარგა ხანია მოძველდა ამ რაიონის ტრანსპორტის მარშრუტები. ხუთი ნომერი ტროლეიბუსი ვაგზლისაკენ მიმავალ ყველა მგზავრს ველარ ემსახურება, იგივე დაემართა ოთხ ნომერს, ხოლო ორ ნომერ ავტობუსს, რომელსაც კვლავ ამშვენებს წარწერა „აგურის ქარხანა“. მხოლოდ ლენინის მოედანზე შეუძლია მიიყვანოს ფეხით კარგა ხანს ნასიარულები მგზავრი.

„კოლმეურნეთა მოედანი-ბაგები“, „სადგური-ბაგები“, — შეხედავს მანქანებზე ჩამოკიდებულ ამ წარწერებს მგზავრი და გულში გაიფიქრებს: „კი მაგრამ, საბურთალომ, დელისმა რაღა დააშავა?“ იქნებ ოთხი ნომერი ტროლეიბუსის ხარჯზე შეიძლებოდაც ბაგებში მოსიარულე რამდენიმე ავტობუსის აქეთ გადმოსროლა და ახალი მარშრუტის დაწესება? შეიძლება იმავე № 2 ავტობუსის ზოგიერთი მანქანის სხვა მარშრუტზე გადაყვანა იყოს შესაძლებელი? ამაზე ფიქრით მოქალაქე არ უნდა იწუხებდეს თავს, ამისათვის მთელი ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ არც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს გაემტყუნებთ: დადგენილებისა და გადაწყვეტილების მიღებასაც ვერ ასწრებენ პატივცემული ხელმძღვანელები, რომ ქალაქი გარბის, სივრცე-სივრცეში მატულობს, ავტომანქანა ველარ ეწვია.

მოფიქრებასაც ტემპი სჭირდება, ამხანაგო ტრანსპორტელებო!

ბ. ივანიშვილი





— მიზრძანდები. ლიტერატორი თავისუფალია. რაღას უტყვი?!  
— ანგარიშის შეცვლას, ქალბატონო!

### გამოცემვა მისალმა გამოცემვა

გამოცემები რომ იწყება, ბევრი დარბის. ფაქტურების კომისიის თავმჯდომარე მასუს აძლევს ნაწიბს, უცბობს. ამას წინათ ერთმა უბრაზა: — გამოვია, ყველა გატებს და მეც ვფიქრობ, ყურადღებით მივაპყრობი ამ ჩემს საქმეს.

გვედობები, ნუ დამავრავ ამ ჩემს დისპულს გამოცემას, მოსაზრება ისეთი აქვს — ვარსკვლავებსაც დათვლის ცაზე, არ სჭარბებს ამას ფიცი. სასაფლას მმართველი ვარ, მკვლრის დამარხვა კარგად ვციცი. ასეთი რამ თუ დატვირდები, ვისთვის, პირდაპირ მე მომზარობთ, ვაქცეურად შევიცდები, რომ თქვენც ხელი მოგიპარათო.

გვეკვირვებულ თავმჯდომარეს აუთრთოლდა მიმთი გული, თვალწინ ედგა მისაფლავი — საკუთის მიყიებული უცნობს უბრაზა: — მზანაგო, რიდა ჩემთვის მოიკაღე! სასაფლასი რად მთავრობ, მე არ ვკვებები ასე მალე.

ტ. კაციაშვილი

# ინტერვიუ

ჩინებულ ადგილია თიანეთი, ბუნა თვალწარმტაცი, პერი დამაბნებელი, თვალ ანარა და ციცი, კოსტიცი, თვალს ყველაფერი იმეტი და ანარცხი.

ჰოდა, ასეთი ზღაპრული ადგილი ვარსკვლავითა, დამწებებულს ზებები ისტებს და ისტეს ცეფსაქმე ისაა, რომ თიანეთის კომპარტიების საკომისიო მალა მუშაობენ ბუზებივით ესევა და ზუზებიც მუშაობენ იგივით.

— რა უნდა გაეკეთდეს, რომ ხალხის მალაზის ბუზებიც მუშაობდნენ დასითო?

აი კანდიდატურა მართობი, ჩალის გადამწებავ მართობი დასხვ საკომისიო მალაზის ყოფილმა ალანდელმა მუშაობებმა არიდა ბუზებთან და გიორგი ფატიურაშვილს და რომელთა გადაწყვეტიმაც ზე მზარი დატვირთვა და ბურჯაღე რაიაგავრის მომზარებელი ზე მმართველი, რომელსაც ზე მსწერებულთა დაბო თავის დასადაც აქცია, ოღონდ არ ყოველს დადგობოშეშობი.

ბოლოს და ბოლოს, როგორ მიპობენ ზარმატებს?

— ბუზების განსაზღვრელი რაოდენობა წელსწინდის სამ დროში ყოფილთის მოსყვება გასაციდად, როგორც საკვირ დარგის ბუზები.



ჩანახატი ნატურთან

### მოგზავრები



# გენსე

ნუა მიცემები თბილისის ქუჩების ხალხი და მანქანების ერთმანეთში სრულად მივიწყებენ. მისი ქუჩაყურები — კულ, სულ, ტაქსი! — სიმდიდრის საკვირ მდებარე მთიანეთს. გულზე მხელობენ, ვერ არა და ვერ გაუფრუსი. მართლმოდებენ, ისიც მარცხნივ მივიწყებ. მე მარჯვნივ, ისიც მარჯვნივ. ვიცი, განა არ ვიცი, საქვს ვინც უბის.

ოპოშიდარე ვლასი ციცი ვარ, რა არ მინახეს, რას არ მეტყუებოვარ. არავის არ მეშინება — არც მგლის, არც სილღობის, არც ავტორინსექტორისა და არც შვიი კატის.

პეგრისა და გეგეს მეშინია!

მოგესწონება, პეგრები და გეგები ადამიანთა მანქანებზე კატეგორიის ცუდუნებან. თუ ღმერთი გაუფრუსა და მანქანა მომინია, ექვს გერევა — თუთონი მიჯღელდა სავსე და სურთ, ბოლო მილი და ნუ შევიქმინებდა. მენ არა დაჯავებ — ის დაჯავებებს. უსათრულ დაჯავებებს, გათრებს ერთ-ორ კვარტალს, სახედ მოგადგებს და დაწინარდება. უნდა ნახოთ, რა სხე აქვს პეგრს და გეგეს ამ დროს. მანქანებია რომ გადმოიღოს, ღიბლი უკურბამელ უბრის ჰაის, თითქოს თვალბები გეუბნება!

— ესეც ასე! ერთი ტყველი დავაპტებო! — შემღებ სიტყვიერად მოგმართავთ.

— ბოლნი, მეგობარო, მეონი შეგებთ, არა?

— როგორ გეგადებობთ, ბატონო გეგე (ან პეგრე), პირიქით, მე ვინდი ბოლნი, ასე იოლად რომ ვადარებო.

აი ახლაც, ჩემს წინ, ზუსტად ამ კატეგორიაში დასაჯავებებ გეგე თინს ჯავებთ იფანტებ. ამახად მზამბახდებ გეგე და მე ერთობლად მიყვებით. ველვობ ამ შემაქმინებელ პეგრებს! — გეგეს გადაწყვეტილი გეგეი თავისი ძალა ამყარად ტრალიბიუსზე გამოსცდეს.

პატარა რჩევა ჩემს ძმებს თბილისელებს: შორობად მოპირავთ თუ არ თვალს მანქანას, რომელსაც ნიშნავს სერია — გს ან პეგრისა (ჩვენ, მძღოლებმა, ვიცით, რომ გს „პროფესორს“ ნიშნავს), ეცადეთ დაეწინაურებოთ იგივით თავმჯდომარე, დაწვეული ჯეგის ალყაფით და გათავებულ დაჯავებულთა, ცოლს ხვრელებით. თავი თუ არ გეცოდებთ, ცოლს ხვრელებს ჩავსატყობო.

არც შვიის მეშინია, არც სილღობის, არც ავტორინსექტორის, არც შვიი კატის... ხალხი ერთლად გეგესა და პეგრის!

ტაქსის მძღოლის ჩანაწერი გადმოკაპიროვალ და კამბეშინი ჩაუტარებ

განაზ ხარამიძე

# გაგზავრის სურათი

პაპანაჭეზაა შეხებულა ქუჩები, მიდენები ლაღობის წყალთანაც იწვიოთად მოპყროვთ თვალს მოსიკვამებს. მხოლოდ საქალაქი სადგურის საღაროებთან და უმაღლესი სასწავლებლების ტუბოში შეიშინება ადამიანთა სირბილე.

ასეთ ამინდში მისწრებაა გამაგრილებელ წყალს, ლამაზ მთელ რუსთაველის პროსპექტზე, ლაღობის წყლის საყვიარებელ მალაზისთან თუ არ მხევივით, ისე სად ვლერსინები?

— ამა ამ პაპანაჭეზამ 25 გრადუსამდე შემობარი ლომიანის დალუგა იწყება?

— ყინული ამ მოვიტანეს, ვერ ვაიცივები! — ასეთ სტანდარტულ მასუს ღებობდომ ყველა რესტორანში, ხოლო რუსთაველის პროსპექტზე მინერალური წყლის მალაზიაში ისეთი ცხელი სთხებ გაფრახებეს, რომ წინწკლებს, გაჩიანობის კი არა, მტრად მალად ტემპერატურის გამო ისრდა.

ასეთი გაზაფხილუბები სახმისის შემდეგ რამდენიმე უნივერსალს ვესტუმრე და მყოფელთა ზეგონი ჩაგვივრე დაზარები, ვლესილილები, ასასულე ჩამოსასვლელიებს დახმობი იყო გამქმნილი. ზოგი რას იტყობა, ზოგი რას.

— უსაფრთხის საპარსი გავა? — ვითხულობს ვილაც.

— არა!

— კბილის ჯავრის მარცხენო.

— არა გვაქვს!

— მთელი ქალაქი მოვიარე და ვერასდ ვიშოვნი, წესად მოვატყვე.

— რამდენიც კინდა, იმდენი ყრია ჩვენი ლოფ-

ლის კომპარტივით, — ჩალიდაპარვა კოლმურენია?

— შინი სოფელი სად არის, ძმობილი?

— წალენჯიხის რაიონში, ფანაღანი ვაგივინია?

ფაქტობლნი თუ არის, აქებრ უნივერსიტეტს რაოდ დავამარცხებ?

გადიდვიარ დარბაზიდან დარბაზში, ზოგი საკამებს ვერებს, ზოგი მაცივარს, სხვები ხარხიან წინდებს, მანსურებს, ბიჭის ფესსცელებს.

— ყველაფერს რომ თავი დავანებებ, მართლი მაინც დაგაქრა, წინდად დაფეული მართლი, ყოფილ მოსახვედში რომ ვყარა? — საყვიერების სიმპათიური ხასის მანდილისანი.

ვერ გაუფრუს ამ განაბს, მალაზიებს ვაგვობი და ქუჩებში ბევრი ხეტილის შემდეგ ავეცი ბუზების ზეგონს!

— პირტვა! — ლეშვი! — გაყვიერის ათავგარი ბრჭყვავალა სამკაულთი მითრულ-მოგახებული ბო-



— შეხედე, აფრკედ! — რეკისბა ჩამოსულან ბიბლისში  
— როგორ გეცადებობთ, ჩემი სილა და ცოლსდაი, გუნი და ბაბუნდანი

ამირანო





ნ.ბ. მ. აბაშიძისა

მაქვს საკუთარი მანქანა და ზაფხულობით აგარაკზე იმით მივსეირნობ. წელსაც მოვიდა ზაფხული, მაგრამ არსად წავსულვარ, რადგან ჩემი ბიჭუნა უმადლესში მისაღებს აბარებდა (უკვე თვრამეტი წლისაა, ჩვენ მაინც „ბიჭუნას“ ვუძახით). აბა რას გავუკეთებთ აქ ყოფნით? მაგრამ, თბილისში რომ ვართ, თითქოს რაღაცას ვეხმარებით.

თბილისში კი ცხელა.  
 რომ შესაღამოვდება... უფრო ცხელა.  
 ამიტომ, საღამო ჟამს ბევრი თბილისელი ქალაქს სტოვებს, რომ აგვისტოს სიცხეს განერიდოს. მეც განვიდვი და ჩემი ავტო წყნეთისაკენ მიმავალ მანქანა-თა მწკრივში ჩავაყენე.

უკვე გრილა. წყნეთსა და თბილისს შორის პირას, ვიღაც მაღლიანს პატარა მოედანი მოუწყვია, სკამებიც დაუდგამს. ჩამოჯექი სკამზე, გადახედე მოციმციმე თბილისს და მიუშვირე გახურებული შუბლი გრილ ნიაგს.

ნეტარება  
 მეუღლე გვერდით მიზის, სკამის ზურგს მივეყრდენი და თავი ფურცს მივუყვები.

— უ-უ-უ! — შემოგვესმა წყნეთიდან ჩამოქროლილი „ვოლგადან“.

— ჩვენ შემოგვძახა?

— არ ვიცი. ფიქრში ვიყავი... ვერ გავარკვიე, — მითხრა მეუღლემ.

კვლავ მივეყრდენ სკამის ზურგს. ქალაქს გავხედე.

— სსსიუუ-უ! — მოგვესმა ასლა თბილისიდან ამომავალი „პობედიდან“.

— ჩვენ დაგვისტვინა... კარგად დავინახე... ჩვენ დაგვისტვინა! — მითხრა აღელვებულმა მეუღლემ.

— რა ყურს უგდებ ვიღაც დისიქსულს! თბილისის სიცხე გადარევდა და... — ვცადე მეუღლის დამშვიდება. ვეღარ მოვასწარ. — „პაროჩკი, პაროჩკი, ნე თბიჭაიტე დრუგ-დრუგუ!“ — დაიკანავლა ვიღაც ცეცხლისფერთმიანმა ქალმა, ახლა უკვე წყნეთით მომქროლავი „მოსკვირიდან“.



— რა გავვირებს, ჯერ შენი რიგი არ მოსულა, რომ რადიოს მოუსმინო!

— ამ ოხრებს გვერდი-გვერდ მჯდარი ქალი და კაცი არ უნახავთ?! — წავიბუღე გამწარებულმა. ცოლს შეურაცხყოფისაგან სახე წამოწითლებოდა.  
 მანქანები მიქრომოქროიან. ფორთხვით ამომავალ ავტობუსს ვიღაცის გახელებული „ვოლგა“ უსწრებს. ჩვენ ვზივართ. უხმოდ, უსიტყვოდ, თითქოს დანაშაულზე წავგასწრეს, თითქოს დატუქსულები ვართ. საჭირთა ხმის ამოდება. ოცი წელია ერთად ვწვეთ უდელს. დასწყევლოს ღმერთმა, ამ ოც წელიწადში იმდენი რა ვილაპარაკეთ, რომ მეუღლეებს ერთმანეთთან სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს. მამ ენა რად მებმის? გადაწყვეტილია. გუშინ რომ კინო ვნახეთ, იმის შესახებ ვისაუბრებ...

— იცი რა, — ამოვღერდე უნებურად, — აი, რამდენმა მანქანამ ჩაიარა ამ ათ წუთს და ცუდი არავის უკადრებია. თითო-ორლა შტერი მუღამ გამოჩნდება...

— ნეტავი შენ! — შემაწყვეტიანა მეუღლემ უკმეხად. — რა ყურს უგდებ... ნუ მიაქცევ ყურადღებას და...

— არ აწყენინო, ჩვენი ბიჭია!... — გადმოჰყო ვიღაცამ თავი მანქანის ფანჯრიდან და ყელგამოღარულებით აღრიალდა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიტრა მეუღლე, — ეს უკვე ჩემი მისამართითაა.

— არა, არა!

— როგორ არა, უტიფრად შემომცქეროდა თვალებში...

— დაწყნარდი, ადამიანო. აკი თვითონ მეუბნებოდი, რა ყურს უგდებო!

— როგორ? როგორ? რა „გოლოშკა“ მე მნახეს, ან შენ რით გავხარ „ბიჭუნას“... თუნდ სულ ახალგაზრდებიც ვიყოთ, რა მოხდა...


სკამზე ძალით დავსვი. მეხვეწებოდა, წავიდეთ. ვეხვეწებოდი, დავრჩეთ-მეთქი. ვჯიუტობდი. ვიღაც ვივინდარას გულისათვის რად უნდა ჩამშახამებოდა მშვენიერი საღამო, რად უნდა გამოგვცეოდ გრილ ნიაგს, მეუღლის სიახლოვეს აღძრულ საამურ ფიქრებს, რად უნდა...

— მოვარე მაღე ამოვა, ჯიგარო, იქით მიცოცდი, ბურჭებში... ჰა-ჰა-ჰა!..

დაფეთებული წამოვვარდი. — ეი, ტუტუცი ხარ ვიღაცა, — ვუღრიალე და ვეღარ მოვასწარ, იმ „ვიღაც ტუტუცის“ ღვარძლიანი ხარხარი მანქანამ გაიტაცა.

ახლა ცოლმა დამსვა ძალით სკამზე. ადგილს ვერ ვპოულობ. არც ჩემი მეუღლე ზის მოსვენებით. ერთი ორჯერ ეიდევ მოგვაძახეს, ლამის ავენთო. კიდევ მოგვაძახეს.

— ადექი!  
 — რად უნდა ავდგე?




— ადექი-მეთქი. ჩაქექ მანქანაში!  
 მეუღლემ შემომხედა. ალბათ ნეტად გაანჩხლებული სახე მქონდა. უკანა კარი გამოაღო და უხმოდ ჩაჯდა. მე საჭეს მივუჯექი. მეც უხმოდ გამოვსწვიე.  
 „რა ყურს უგდებ, რა ყურს უგდებ!“ — ჩამძახოდა ყურებში მეუღლის ხმა. ის კი ჩუმად იჯდა, გაყურებული, ალბათ, შეურაცხყოფილ. და განაწყენებული. ახია მაგაზე, რას მაშვიდებდა. მაგრამ მეც ხომ ვამშვიდებდი. მეც ხომ ვურჩევდი: ყურს ნუ უგდებ-მეთქი. ვისაც ამ ამბავს მოუყვებო, ისიც ხომ გამამტყუნებს და მირჩევს: — რად ჩაიშხამე საღამო, ყურს რად უგდებდი!..

ვიცი, გამამტყუნებს.  
 ჰოდა, გამამტყუნოს, ვიდრე ყველას სათითაოდ გავამწარებენ. დარჩეთ ბურთი და მოედანი უტიფრებს. დაე, ისუღიგონი;  
 რა ყურს ვუგდებთ!

გ. ჯამბაპური

ნ.ბ. გ. ფირცხალავასი



ლოთის რენტგენოგრამა.



# ცყავი და ბაბტყავებში

ნახ. ე. მაყაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ამ პაპანაქება სიცხეში რომ ჩაგიცვამს შავი წინდები, ალბათ, მიტომ დადგომია შავი დღე და ყველა „თვალი ჩასცვენია!“

ყრუ-მუნჯთა საზოგადოებაში ხანდახან ისეთი საქმეები კეთდება, რომ თეფხიც რომ იყო, ვედარ დამუნჯდები.

ასე იყო ამას წინათაც. ასე იყო ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყების ფესვსაგანის სამკერვალოში, მის პირველსა და მეორე სამკერვლოში.

პირველ სამკერვლო ავეტიკ არუთინოვი გამგეობდა, მეორეს — რაფიკ ასლანიანი. ჰქონდათ სამკერვლო საწყობები და ისინი გამოტენილი იყო ნაქურდალი, უფაქტურო საქონლით, თბილისის ფესვსაგანის პირველი ფაბრიკის მკერავის ვლადიმერ მინდიაშვილის მიერ ფაბრიკიდან ისტატურად აცოცხლებულ-გაცოცხლებული აბზინდებით.

იკერებოდა ფესვსაგანელები სხვადასხვა ადგილებიდან ბნელ-ბნელი პირების მიერ ბნელ-ბნელი ქუჩებით მოტანილი ტყავით, უპასპორტოდ დამზადებული ფესვსაგანელები, თუმცა არა თავისი ფეხით, მაგრამ სხვადასხვა გარიგებებითა და მანქანებით — გაქანებით შედიოდნენ ფესვსაგანის სხვადასხვა მაღაზიაში და ეძლეოდა მომხმარებელს როგორც კანონიერი და წესიერი ნამუშევარი.

ქართველოს სოცურუნველყოფის სამინისტროში.

წუნდებული ტუფლების ნაფეხურებმა ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ფესვსაგანის სამკერვალოსთან მიადწია და იქ შედგა.

ზემოთ ხსენებული სამკერვლო გამგეობს ავეტიკ არუთინოვს და რაფიკ ასლანიანს, მათ მომხმარებელს ვლადიმერ მინდიაშვილს და მათ ძმაკაცებსა და თანამშრომლებს ა. ფირალოვს, ი. ავაგულიანს, თ. საფთიანს და ძმათა მათთა სამადლო საქმე ამჟერადაც არ უკეთებიათ, მაგრამ „სამადლოში“ ხშირად იყრიდნენ თავს და, ცოტა არ იყოს, ზო-



## კინოსტუდია

— ბათლომეს ვენაცვალე, როგორ მოგწონთ ეს ანსამბლი?  
— ვერაფერს გეტყვით, სანამ რეპერტუარში ასეთი სიმღერა აქვთ: „ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას, გული გაუპოს დანამა!“

— ძია ნიკა, მასწავლე რა, ავტომანქანის ტარება!  
— რად გინდა, ბიჭო?  
— მძღოლის წიგნაკი ავიღე და...

— ვგ რა მოთამაშეა, ერთი მცველის მოტყუებაც ვერ მოუხერხებია!  
— სამაგიეროდ ამდენ მაყურებელს ატყუებს!

— რა ხანია, თმის ცვენა დაგმწყობ?  
— რაც თმის გასამაგრებელი წამლის ხმარება დავიწყე.

— პატივცემულ დომენტი, ერთი ლექცია ჩაგვიტარეთ ალკოპოლიზმის მავნებლობაზე.  
— რამდენი ბოთლი იქნება მაღარიჩი?

დ. ჩაპკვაძე

მაზე უფრო შეზარბოებულები ლოწინდნენ ერთი მეორეს, მჭევრმეტყველური სადღეგრძელოებით ამკობდნენ ერთმანეთს, იცინოდნენ, ხითხითებდნენ, ხარხარებდნენ, ყაყანებდნენ და ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე იყოფდნენ ნადავლს, აწყობდნენ ახალ და ახალ გეგმებს, იძლეოდნენ საქმიან შენიშვნებსა და დაგალებებს და მიდიოდა საქმე, ფაქტიურად სადღებოდა უფაქტურო საქონლისაგან სახელდახელოდ შეჯდნული ფესვსაგანელები, იყო ქეიფი და დროსტარება...

ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ასე, მაგრამ ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ფესვსაგანის სამკერვალოს ბნელმა საქმეებმა არ დაიმუნჯეს ენა და, საამკარაოზე რომ გამოვიდნენ... მილიციის ორგანოებმა წააგლეს ტყავიპარიებს ხელი.

ზოგიერთები კი, თურმე, კიდევ არ იტყვნენ ისტებარს: ისევ ფიქრობენ ტყავით ტყავი გააძრონ მომხმარებლებს.


ენახოთ, „აღდგომა და ხვალეო!“

ვატჰავაშვილი



ქალაქ უფის მცხოვრებ დიასახლის შაკიროვასთვის რომ გეთქვათ, ფეხზე ნაქურდალი გაცვიათ, ალბათ სასამართლო კარებს აგატალახიანებინებდათ, როგორც ცილისმწამებელს, მაგრამ, როგორღაც, იგი თვითონვე მიხვდა, რომ ყოველგვარი ცილისწამების გარეშე მართლა ნაქურდალი ეცვა ფეხზე. თუმცა არცთუ ისე დიდხანს ეცვა იგი, ერთი ორი ჩაცმა და ფერი დაკარგა, გახუნდა, გაცვდა, დაიჯდნა ფესვსაგანელი.

— ვინ იყო ამ ჯდნის მეჯდნე? — იკითხსა შაკიროვამ და განცხადება აფრინა სა-



უტექსტო ხუმრობა

რედაქტორი ნ. შველიძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე. საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ბელმოწ. დასაბ. 29/VIII-1961 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობითი ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 1523, უკ 02624 ტირაჟი 40000



საკომედიური ბაზრებში ჯერ კიდევ არ არიან ალაგმული სპეკულანტები და ისინი ხელს უშლიან კომედიურებს ჩამოტანილი პროდუქტების გაყიდვაში.

გეგმარა  
თეატრული  
ბიზნისი



— გაგვტარე, კაცო, ჩვენს ბაზარში!  
— როგორ გეკადრებათ, მაშ ჩვენ რისთვის ვართ აქ, თუ ვაუკაცურად არ დავიცლით ხელს.